

2633
1961

ბედი ქართლისა

ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული

Bedi Karthlisa (« Le Destin de la Géorgie »)

RECUEIL HISTORIQUE, SCIENTIFIQUE ET LITTÉRAIRE GEORGIEN

საგანგებო კრებული აღსანიშნავად
ვაჟაფშაველას დაბადების
ასი წლისთავისა

Directeur : K. SALIA - 8, rue Berlioz, Paris (16^e) - Tél. : PAsSy 75-35

N° 38

PARIS 1961

ვ ა შ ა ს ე ნ შ ა ლ ი

(ბარათი სამშობლოხსადმი)

«გულზე მესვენა მზე-მთვარი,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა».

ვაჟა

ტფილისი, 1908 წელი. ზაფხული, ახლად დაბრუნებული ვიყავ საზღვარ-გარეთითგან. ერთ საღამოს «ნიშადურის» რედაქციაში შევიარე—ვალდებულნი ვიყავით. შემთხვევას ვერ გავუშვებ ისე, რომ ეს დაუეციყარი მამული-შვილი—მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, კურნალისტი, საზოგადო მოღვაწე—ორიოდ სიტყვით მაინც არ ავსახო. მითქვამს: ილია დიდი მოურავია კარდუსი—ვიტყვი: ვალერიანი დიდი მოურავი იყო ილიასი: «ყმა»—ამ სიტყვის უმაღლესი მნიშვნელობით.

ვბაასობდით. რედაქციაში სხვა არავინ იყო. არ ვასულა დიდი ხანი. ერთი ჩოხოსანი შემოვიდა. «აა, ვაჟა!» შეეფრქვია ვალერიანი. გამაცნო, ჩემი თავიც გააცნო. ვაჟას სახელი, რასაკვირველია, ხშირად გამეგონა—ხოლო მისი პოეტური ნაქმითგან ორიოდვე შიხრი თუ მქონდა წაკითხული. დაჯდა. შემოსლვისათანვე მისსა ირგვლივ რაღაც უცხოური ატმოსფერო განიფინა. ჩვენ წინ იჯდა კაცი პირვანდელი: «ურმენშ», გერმანული სიტყვით. კაცი, რომელიც ბუნების შუაგულითგან უმზერს გარესკენს. ვმუსიანობდით, შევეცქეროდით. ვაკვირდებოდი ვაჟას. ვატყობდი, უნდა ყოფილიყო: თვითმყარი, ურყევი, შინაგან ამაყი, შემმართებელი. თანაც—გულახდილი და გულმართალი. მისს «ურმენშურ» გამოხედვას ერთი-რამ კიდევ უფრო ამბავრებდა, სახელობდ: ცალი უპე-დაზიანებული თვალი. როგორც შემდეგ ვავიგე, სიბიბრის იარათი.

საუბარმა ერთ ხტილში ფილოსოფიური ხასიათი მიიღო. ალბათ ჩემგან. ვაჟა გამომყვა. გამიკვირდა, რომ გამომყვა. ხოლო ჩემ ვაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მან ერთ ხვეულში მოსახრებისა პეგელის «ლოკია» იმოწმა. კამათს სიციხარე დაეტყო. «წავლაპარაკდით» კიდევ. უეცრად მისგან «ტონაწული» სიტყვა მომესმა. ყმაწვილობისას ვიყავ: უკიდურეს თავნება, უკიდურეს ურჩი, უკიდურეს თავმჯერი—გარანა არ ყოფილვარ: მოდავე და მით უფრო შემტევი თუ შემმართებელი. გასაგებია, თუ ეს «აწე-ული ტონი», ლბილად რომ ვთქვათ, «მეუცხოვა». (შესაძლოა მეც «ავამალ-ლე» ტონი და ვერ შევამჩნიე ეს.) ალბათ ჩემს სახეზე სიკუშტემ ირიბულად გაივლევა. ვალერიანისათვის ეთქვა შემდგომ ვაჟას: ბოდინი მომხადე იმ ყმაწვილთან, მგონი ვაწყენიე, ცოტა ნაღვინები ვიყავიო. (უნდა აღვიარო: «წყენას»—ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით—ჩემში მაშინ აღვილო არ ჰქონია.)



როდენიმე თვის შემდეგ. ახლოვდებოდა 50 წლისთავი აკაკის ლიტერატურული მოღვაწეობისა. ამოძრავდა მთელი საქართველო, მამულიშვილური გრძნობით აყვანილი. დედა-ქალაქი ზეიმისათვის ვმზადდებოდა. მთობითგან ჩამოვიდა ვაჟა. ზეიმის მზადებისას ნადიმი გაიშარდა. რომელიც ზეიმის პრელუდიად გადაიქცა. გაიშარდა მტკვარის ნაპირზე გამართულ რესტორანში: იქ, საცა ვარონცოვის ძეგლი იჯდა, მარჯვნივ, რუსთაველს

გამზორითგან თვალშიმართებით. იყვენ სანადიმოდ: პუბლიცისტები, ლიტერატორები, საზოგადო მოღვაწენი. ნადიმს მეც დავესწარი—მგონი ვაჟაც. ამზეურდა ქართული ლხინი შეუდარებელი და ლხინში მზეობდა ერთი სახელი: აჟაკი. რაოდენიმე დღის შემდგომ თვითონ ზეიმი გაიმართა, საოპერო თეატრში. ყველაზე უფრო გულხმვიერი მომენტი ზეიმზე იყო: ვაჟას მისალმება შაირით აჟაკისადმი. აჟ უნდა გადაეუხვიო: საქირთა აღენიშნო ისტორიისათვის ერთი ფაქტი.



ზეიმის წინ აჟაკიზე ლექცია უნდა წამეკითხა: წარმომეთქვა. მოხდა გუგონარი ამბავი. გუბერნატორმა არ დამართო ნება: საჯარო ლექცია ქართულ ენაზე წამეკითხა. ეს იმ ენაზე, რომელიც, ვაჟ დე მოზგანის აზრით, ერთი ოთხ პირველენათვანია: ბასკურთან, ეტრუსკურთან და პეტითურთან ერთად! იმ ენაზე, რომელზე ერთს ქართველს მეთე საუკუნეში, უღრმესად ჩახედულს ლოგოურ («ლოგოს») ქვედენაში სიტყვისა უთქვამს: «... რამეთუ ყოველი საიდუმლოამ ამას ენასა შინა დამარხულ არს!» (ვამბობ: «ერთ ქართველს»—ვინაითგან, პავლე ინგოროყვას შესანიშნავი ქმნილების შემდეგ «გიორგი მერჩულე», იოანე-ზოსიმე საბაწმიდელ-სინელი, დღემდე ავტორად მიჩნეული საგალობელისა «ქება ქართულისა ენისამ», საითგანაც ამოღებულია ზემომოყვანილი თქმა, ამიერიითგან გადამწერად უნდა ჩაითვალოს. ავტორი საგალობელისა კი, საუბედუროდ, უსახელოდ დარჩენილა. ოო, რომ ვიკოდეთ მისი სახელი, მარტოთ-მარტო სახელიც—რაოდენ გავმდინდრდებოიოთ! ჰოი, საიდუმლოებზე «სახელისა!»)

გამიტაცა შეხვევამ. ჰო და, არ დამართო ნება გუბერნატორმა: საჯარო ლექცია აჟაკიზე ქართულ ენაზე წამეკითხა. ეს იყო უმძაფრესი შეღანძლა, შეურაცხება ქართველი ერისა და დავემტებ: უმაგალითო სიბეცე ცარისტული პოლიტიკისა (კიდევ მიტომ მიიხვრა ცარების იმპერია!). გავხედი. მაგრამ რას ვიქმდი! აღელვდენ სხვებიც. მაგრამ რას იხამდენ! გაიგო ეს ამბავი გენერალმა გიორგი ყაზბეგმა. იყო იგი: აზოვანი, კლდეკაცი, მზემოსილი, გონიერი, ნელი, დინჯი, მძლევარი: და თავი-და-თავი: «არისტოს», ბერძნული ცნებით. გაიგო ეს ამბავი და მყისვე გაეშურა სასახლისაკენ მეფისნაცვალისა. ინახულა უკანასკნელი. მოვლაპარაკა. მიიღო საქირთ ნებართვა. ლექცია გაიმართა საკონცერტო დარბაზში რუსთაველის სახელობის თეატრისა, მაშინ: «არტისტული საზოგადოებისა». ლექციას დიდი გამარჯვება ერგუნა. საკმარისია მაშინდელი პრესსა გადავათვალიეროთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ არ ვამეტებ. აწ განხვეწებული ნოველისტის ილია ელევთაერძის (ზურაბიშვილის) წერილი, ლექციისადმი მიძღვნილი. ამ სათაურით გამოვიდა: «ამომავალი მზე». საქმაოა ეს ერთი მაგალითიც. (ლექცია გავიმეორე ქუთაისში: იქაც ზეიმის წინ, იქაც არა ნაკლები გამარჯვებით.)



უბრუნდები ვაჟას. ვთქვი: მისი მისალმება აჟაკისადმი ყველაზე უფრო გულხმვიერი მომენტი იყო-მეთქი ზეიმზე. შაირით მისალმება. როგორ გაზოგოთქვა ეს მომენტი? წარმოვისახოთ, ვინმე ქართველი, ანაზდულად, რაღაც სასწაულური გზით, მოგვევლინა გარდასულ საუკუნოებთიგან. აი თუ გინდ ის უსახელო ქართველი, რომელსაც ეგზომ ღრმა სიტყვა უთქვამს ქართული ენის რჩეულობაზე. იგი ჩვენთვის, ქართველთათვის, ყველაზე უფრო შორი იქნებოდა, ვიდრე რომელიმე ჩვენთვანი: შორი, ვინაითგან ჩვენგან საუკუნოებით დააცილებული. ხოლო ეს—ზედაპირზე ჩვენი ცნობიერებისა. გარნა ქვეფენებში უკანასკნელისა? იგი ჩვენთვის ყველაზე უფრო ახლო იქ-

ნებობდა, ვიდრე რომელიმე ჩვენთაგანი: ახლო, ვითარ ჩვენ ფესვებამდე საუკუნოებიტგან მოახლოვებული და ამ გზით ზიარმქნელი ჩვენი თაობისა საუკუნოებში გარდასულ თაობებთან. მოგვევითთ ერთი სიტყვით: იქნებოდა ცხოველყოფილი სახე ქართველობისა. როგორც ასეთი—ზორი და ახლო—იგი ჩვენ, როგორც ქართველთ, ერთიმეორესთან კიდევ უფრო დაგვაახლოვებდა.

ასეთ წარმოსახულ ქართველს გაედა ვაჟა, სცენაზე გამოსულ. (რაც აქ ნათლად მოგვევით უკანგახედვით—მაშინ ეს ბუნდოვნად ვიკრძნე მხოლოდ.) დარბაზი გაინაბა ერთიანად, როცა მან დაიწყო შიარით მისალმება აკაკისადმი. უყვარდა გაისმა: «ილიაც მესაუბრება, უნდა დავეუგლო მას უყური». მთელი ტანი დარბაზისა ატორტმანდა. მეტის თქმა აქ საჭირო აღარაა.

ზეიმის წინა დღეებში ერთი მცირერიცხოვანი ჯგუფი რუსთაველის გაზიარებულ მივდილით. მე კიტა აბაშიძეს ვესაუბრებოდი. სხვათა შორის, ვაქაზე გამოვკითხე ზოგი-რამ. მეფისნაცვალის სასახლეს რომ მივდილიყვით, თეატრითგან თვალშიმართებით—საინტერესოა აღვინწინო: «სად» ყოველთვის უკანასკნელ წერილმანამდე მაგონდება, «როდის» კი ძალიან ბუნდოვნად—კიტამ მაუწყა: მაგას (ვაჟას) ერთი შესანიშნავი, მეტად საცნაური პოემა აქვს: «გველის მუამელი».

ეს სიტყვა იმპულსად ჩამეწვითა. შემდგომ, ზეიმზე განვიცადე უკვე აღნიშნული ეგზომ გულხშიერი გამოსლვა ვაჟასი. ვიწოვე მისი წიგნი. წავიკითხე «გველის მუამელი». დავინახე შიგ გაყვანილი ერთი უნივერსალური იდეა. (არა ის, რასაც დღეს მასში ხედავენ.) აფერთოვანდი. მომზიბლეს შიარებმა პირველქმნილი სიხალასით. ვანსაკუთრებით აღიბეჭდა ჩემში «დაუსრულებელი კენესა»—არა შესავალი და «კენესა» ბოლოში, არამე მოლანდება მითიური ქალისა, შუაგულში შიარისა თითქო უკავშირად შეტანილი. ორი შედეგური ვაჟასი «ფშაველი ჯარისკაცის წერილი» და «დიდი თამარი»—არც ერთი არ იყო მაშინ წარმოშობილი.

1909 წლის დამდეგს ლექცია ვაჟაზე დამზადებული მქონდა უკვე. გაიმართა იგი ქართულ თეატრში, რომელიც აგებული იყო სათაფადაზნაურო ქარვასლის შუაგულში (შემდეგ ეს თეატრი დაიწვა). მგონი თებერვლის მიწურულში გაიმართა. თეატრში ტევა არ იყო. ლექცია აგე უმთავრესად «გველის მუამელის» გარჩევანზე. რასაკვირველია, ვაჟას ლირიკასაც შევხეე—გამოწერებით იმ შიარისა მითიურ ქალზე, რომელიც ასე იწყება: «როცა კი შემობინდდება, კისკასი ისმის აღისა, ამ მომზიბლავის, ცბიერის, ტურფა, თმა-ხშირის ქალისა».

(ჩანართი. რამდენჯერ წარმომიტქვამს ეს შიარი შემდგომ, ხალისით, სცენითგან თუ მეგობართა წრეში! საკვირველია მეტად, რომ ამ შიარისათვის, რომლით ნამდვილი მითიური არე იფინება, დლითგან მისი წარმოშობისა, რამდენადაც ვიცი, ჩემს გარდა არავის მიუტყვევია ყურადღება. მხოლოდ გერონტი ქიქოძემ, აწ განსვენებულმა, აღნიშნა იგი: შიარი მთლად და არა ის მნიშვნელოვანი ნაკვეთი მისი და ესეც გაკვრით. არც ახლა, ვაჟას დაბადების 100 წლისთაზე უხსენებია იგი ვინმეს, თუმცა ვაჟაზე უთვალავი წერილები გამოაქვეყნეს. საკვირველია. მე მესმის «ფშაველი ჯარისკაცის წერილის» არ-ხსენება იქ, საქართველოში. ამ შიარს რომ შევხო, ლაშარს ვერძიდ ვერ აუღლი—ხოლო ვერ შევხები ლაშარს, თუ არ გრწამს უხენაესი. ეს გასაგებია. მიკვირს მხოლოდ, ვიმეორებ, რომ იმ გასათკარ ლირიულ ნაკვეთს «ვაჟას დღეებშიაც» ვერ მოაგნეს.)

ჩანართი გამოგრძელებულია. ლექციაში გადმოვწავი დედაგული ვაჟს შვი-
მოქმედებისა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ გადმოწავამ. ვაჟს კულტი,
უნდა ითქვას, დღითგან ჩემი ლექციისა იწყება. ლექცია გავიმეორე კუთხის-
ში. იქაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მან. წლების შემდგომ დიდი ნაწი-
ლი ამ ლექციისა ერთერთ გაზეთში დაიბეჭდა. რუსეთსაც მე პირველმა გა-
ვაცანი ვაჟა. ჩემი წერილი მასზე გამოქვეყნდა 1911 წელს აგვისტოს ნუმერში
ვანთქმული კურანლისა «Русская Мысль».

ვიმეორებ: ვაჟს კულტი ჩემი იმ ლექციითგან იწყება. ამას არავეინ ახ-
სენებს. «იქ» არ ახსენებენ, რადგან ჩემ სახელს «ვერა» ახსენებენ. რატომ ვერ
ახსენებენ—ამას ახსნა არ უნდა. ახსენებენ «ლამარას», ხოლო მე, მისს ავ-
ტორს, არა. შალვა აფხაიძე და სერგო კლდიაშვილი მოგონებებს წერენ
«ცისფერ-ყანწლებზე». მე—თუმცა ამ პოეტთა ორდენის არა ნამდვილ წევრს,
ხოლო მათ უფროსს მეგობარს და დამხმარეს—არ მახსენებენ, რადგან ვერ
მახსენებენ. სერგო კლდიაშვილი იგონებს («ლიტ. გაზ», 21.7.61), თუ რა დიდი
აფრთოვანებით შეეგება ვაჟს 1911 წელს კუთხისი დავით კლდიაშვილის მე-
თაურობით ილიას ხსოვნის აღსანიშნავად გამართულ ლიტერატურულ სა-
ღამოზე, რომლის მონაწილე მთების მომღერალი იყო მიწვეული. კუთხისი
ვერ შეხვდებოდა ვაჟს ასეთი დიდი შეფრქვევით, თუგინდ დავით კლდია-
შვილის მეთაურობითაც—რომ იგი ორი წლის წინ ჩემ მიერ არ ყოფილიყო
მომზადებული. ეს სერგომაც კარგად იცის—მაგრამ არ ახსენებს, რადგან ვერ
ახსენებს. არ-ახსენება ჩემი, როგორც გადმომწოდის ვაჟს შემოქმედებისა,
«იქ» გასაგებია—ხოლო «აქ», უცხოეთში, პირდაპირ გასაშტერებელი.

გადაშალეთ წიგნი მინდია ლაშაურისა «ქართული სული». იქ თქვენ
წაკითხავთ (გვ. 58): ვაჟს «გენიას დიდი ილია ჭაუჭავაძისავით არავინ ჩას-
წვდომია». ყოველი უბრალო მკლდენი კი წერა-კითხვისა გაიგებს ამას ასე:
სხვებსაც უცდიათ წდომილიყვენ ვაჟს გენიას, ხოლო ილიასავით არავინ
წვდენია. არაა? გარნა აქ საარაკო ისაა, რომ ილიას ცდაც არ მოუხდენია
ვაჟს გენიის წვდენისა, არსად: არც რომელიმე გაზეთში, არც რომელიმე
ურნალში, არც საჯარო მოხსენებაში. ვიცით მხოლოდ შემდეგი გადმო-
ცემა: ილიამ კერძო საუბარში ვაჟს შირები ძალიან დიდად დააფასაო. ეს
აწრი ილიისი ვაჟაზე ამხელს ილიას ლიტერატურულ გემოებს და ალღოს: დი-
დად-არ-მიჩნეული პოეტი დიდად მიიჩნია. გარნა ეს არაფერს ამბობს თვი-
თონ «სიდიდეზე» პოეტისა. ამასაც უმატებენ: თითქო ილიას ეთქვას: მე და
აკაკიმ ამიერთვან კალამი უნდა გავაგდოთ ხელითგანო. ეს, ცხადია, მიზლა-
პრებული ამბავია. მაგრამ მივიღოთ მაინც ნამდვილად. რას გვამცევს ეს?
ილიას დიდსულოვნობას და არა ვაჟს პოეზიის ანალიზს. თანვე—აკაკის შე-
ველი ეთქვა: ბატონო ილია, თუ თქვენ იმეტებთ თქვენ თავს, ეს თქვენი სა-
ქმეა—ხოლო თუ ესუთნ მეც თან გამიყოლოთ, ეს კი ჯერ მე უნდა შემეკით-
ხოთ. ერთი სიტყვით, უდავო ფაქტია, რომ ილიას არ უცდია გადმოწავა ვაჟს
სიდიდისა. კარგია კულტი პიროვნებისა, ხოლო ეს სრულებით არ მოით-
ხოვს, კერპად ვაქციოთ უკანასკნელი. ამას თვითონ ილიაც არ დაუშვებდა,
პირველი.

ავტორს «ქართული სული»-სა მივმართე: აღედგინა პრესის საშვა-
ლებით სიმართლე. არ ინება. ამას თვითონ მკითხველი დასდებს მსჯავრს.

თანამემამულეთა მიმართ უნდა განვაცხადო: ხსენებულმა არ-ახსენებამ
რა უნდა დამაკლო მე? გარნა იგი ისტორიას ცოტას მინც დააკლებს.

დაკავშირებით ვეპას იმ ლირიულ ნაკვეთთან, რომელიც მითიურ ატ-
მოსფეროს ჰფენს. გვაქვს თუ არა მსგავსი-რამ ამისა «ბარის» ლიტერატურ-
რაში? გვაქვს. ისეთი ნაქმნი მაინც, რომელნი, თუ მითიურ ატმოსფეროს
ვერ ჰფენენ პირდაპირ, მისი მოჭროლოვით სუნთქავენ. ესენი არიან: «ალ მას-
გირ კიბულან», მოთხრობა ლეო ქიაჩელიისა; «სანავარდო»; რომანი ღემნა
შენგელაიასი; «ტაბუ», მოთხრობა კონსტანტინე გამსახურდიასი; «გაბზარუ-
ლი გული», რომანი შიო არაგვისპირელისა. განსაკუთრებით უნდა მოვინსე-
ნო არისტო ჭუმბაძის შესავალი ერთი ვრცელი მოთხრობისა, რომლის სა-
თაური არ მახსოვს (იბეჭდებოდა ქუთაისში გამომავალ გაზეთში «კოლხი-
და»). მოთხრობა პირწავარდნილი მიბაძეა იყო კნუტ ჰამსუნისა—მაგრამ
შესავალი მისი ისეთი-რამ იყო, რაიცა ჰამსუნს არც კი მოჰლანდებია. ვიგო-
ნებ იმ შესავალს უკანგახედვით და ვფიქრობ: პრაზაში იგი თითქმის გაე-
ტოლებდა მას, რაც ვაქამ მოგვცა იმ ლირიულ ნაკვეთში. ოო, რა მენატრება
მისი გადაკითხვა!

— — —

როგორ არ მოვავლინო აქ ის მატყვევებელი მითიური ქალი ვაქასი!

«როცა კი შემოზინდდება,
კისკასი ისმის აღისა —
ამ მოზიზილაგის, ცბიერის,
ტურფა, თმაზშირის ქალისა.
კლდიდამ რომ დაბლა სიკებზე
ხსრიალი ისმის წყალისა,
თავს უპყრობს კლდისა ნაქურსა
მატყვევებელი თვალისა.
გადაივარცხნის კოჩორსა,
ჩამოპოხილსა ნამისა,
და შეუბურავს საროს ტანს
ჯვანი ნაწნავთა ჯარისა.
შუალამემდე აქა ზის,
ტკბილად დამღერის არესა,
მკვდართ სულთ აშლამდის ლხინშია,
შესტრფის ამ კლდიან მხარესა,
უჩვენებს ელევის კბილებსა
ცაზე გადმოსულს მთვარესა.
მთვარე რომ ჩავა, ვარსკვლავნიც
თითოობითა ჰქრებიან,
ცაში ზარს დაჰკვრენ ცისკრისას,
ცოდვილთ სულელები ჰქრთებიან,
და მკვდარნიც საფლავებიდამ
სასიეროდა დგებიან —
მაშინ კლდის ქალი, ეს ტურფა,
წავა ნაბიჯით სწრაფითა;
შეივლის შავსა ქანახებს,
გალიპულს წყალთა ქაფითა;
ბნელს მღვიმეს მოეფარება
სიპის კარების ჩქაფითა.»

(ვის დაავიწყდება ეს მოლანდებელი ქალი?)

— — —

ზემოთ ვახსენე ხუთი ავტორის ხუთი ნაწარმოები, საცა მოხერხებულა მოკროლვა მითითურისა. ამ ხუთ ავტორთაგან სამი მეგრელია: კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიჩელი, დემანა შენგელაია. ეტყობა, კოლხეთის მითითური მარაგი სამეგრელოში ჯერ კიდევ არ მიღეულა. ამას მოწმობს ერთი ფაქტიც, მეტად საინტერესო. 100 წლისთავზე ვაქას დაბადებისა უთვალავი წერილები გამოუქვეყნებიათ. ყველა წავიკითხე. და შერბმე ვაქას—პოეტს მითითური რეალობისა—ყველაზე უფრო სწორედ მეგრელები მიანდოვებინან. ესენი არიან: ჯერ იგივე კ. გამსახურდია; შემდეგ: აკაკი ვაწერელია, სიმონ ჩიქოვანი, ვიქტორ გაბესკირია და ვინმე ალიო ადამია (უკანასკნელი პოეტური გზნებით). 1. გამსახურდია: «ტებილსმოვანი ორფეოსი», «მნათობი» № 7, 1961. მტკიცება: ვაქას სათავე—«მითოლოგია». ვიცი, რისი თქმა უნდა ავტორს. გაუგებრობის ასაცილებლად მისს თქმას დახუსტება ეჭირვება. ყმაწვილობისას სანდრო შანშიაშვილი «მითოლოგიას» აშაირებდა და მარჯვედაც—მაგრამ ნაქმი მისი გამოდიოდა «მითოლოგიური» და არა «მითითური». 2. ვაწერელია: «ქართული პოეზიის დიდება», «მნათობი» № 7, 1961. ფორმულა: «ვაჟა-ფშაველა—შემოქმედი, რომლის მხატვრულმა ნიჭმა მსოფლიო პოეზია გამდიდრა ქართული მითოსის სიღრმეებითან მომდინარე ხილვებით». ფორმულა ნამდვილია. ხოლო წერილში ავტორისა «ხილვები ქართული მითოსისა» არ არიან «გამოშინგულნი». 3. ჩიქოვანი (ხანშესლა) ანდრე ჟიდს დამსგავსებია: სურათი, გრ. აბაშიძესთან ერთად გადაღებული, «კომუნისტი», 29.6.61: «ვაჟა-ფშაველას პოემები», «ლიტ. გაზ.», 28.7.1961. სწორად მიდგომია საგანს ავტორი. განსაკუთრებით კარგადაა გადმოშლილი შუაგული პოემისა «ბახტროინი». ძალიან კარგად დაუქურია მისი მითითური ძარღვი და ასვენის მართებულად: ლუხუმი ვაქამ «ხალხურ მითითურ სახედ აქცია» ო. 4. გაბესკირია: «ვაჟა-ფშაველას მხატვრული სახეები». წავიკითხე მხოლოდ მეორე ნახევარი წერილისა («ლიტ. გაზ.», 7.4.1961). ავტორი ცდილობს ახსნას უცნაურობა ვაქას პოეტური სახეებისა. ცდა მარჯვედაა გაცხვანილი (დაწვრილებით—ქვემოთ). 5. ადამია: შაირი «სიზმარი», «მნათობი» № 7, 1961. ეს შაირი ისეთია, რომ ვაქასაც აუჩუყებდა გულს.

ფშავის გზაზე, შეღამების ბინდში,
არაგვისპირს ავაღვენე ცხენი.
და ჩემს თვალწინ აღიმართა ნიში—
ხალიანი პატარძალი ხევის.
ლოცვად იდგა მარიამი წმინდა,
ხელში ეპყრა უჩვილესი ბავშვი—
და ვარსკვლავი ჩამოსული ციდან
ანათებდა მარტოდმარტო ფშავში.

მერე შუქად მოეფინა დილას,
ნათლის სვეტი შეუყენა ლაქვარდს —
მოდიოდნენ ფშავის გზაზე წყვილად
შვილის ნუკრი და ფეხშიშველი ვაჟა.

(გაოცებული ვარ არც თუ «მითოსი» ეხამება «სოცრეალიზმის» სიტყვარს. აქვე უნდა ვახსენო გაბედული და თანვე მეტად გულხმიერი წერილი ლაგაროსი კალანდაძისა «პირიშუე», «ლიტ. გაზ.», 7.4.1961. ჩემი წინართქმა: ეს ავტორი შორს წავა, თუ—თუ მისცეს გაქანება. ვერ დავტოვებ უხსენებლად გულითგან ამომხდარ შაირს ირაკლი აბაშიძისა «ხმა ჯვარის მონასტერში» («მნათობი», № 6. 1961) რომელს სათაურითაც არ აქვს საერთო «სოცრეალიზმთან». ავტორი მწერალთა კავშირის გენერალუ-

რი მდივანია. არ არის ეს საოცარიი? რით აიხსნება ყოველი ეს? «საქართველო საქართველოა quand même»—მესმის შინაგანი ხმა.)

არა-ქართველ ავტორთან უნდა ვახსენო კორნელი ზელინსკი, რომლის ორი წერილი ვქაზებ ორივე კარგია. ერთი გამოქვეყნებულია «კომუნისტში», მეორე «მშათობში».



მითოსის მისცა გენიალური განმარტება სალლუსტიმ, რომელმა ავტორმა (86—34 ქ. წ.), თქვა რა ატრის-ის მითებზე: «ეს არაოდეს ყოფილა, ოღონდ ყოველთვის არის». იგულისხმება: არ ყოფილა—ისტორიულად, არის—ზეისტორიულად. სალლუსტის ფორმულას ეხმიანება ახიარებით ქართული ზღაპარის დაწყება: «იყო და არა იყო რა» (თუ როგორ—ამას კვანზე ვტოვებ).

კონკრეტულ წარმოდგენისათვის მითოსისა მე ყოველთვის ვივლინებ ხალხე გოეტპეს სწავლას «ურფენომენ»-ზე (თაურმოვლენაზე), რომელიც უგენიალესი ცნაურებია დასავლეთის კულტურაში გონისა («გონი»: Geist, Esprit, Dyx). ორი სიტყვით იგი. მცენარე ცხადდება განამდვილებით რომელიმე ხტილში თვისი ვითარებისა: ან მორჩობისას ან ცენებისას ან ყლორტობისას თუ ფოთლობისას. ასე ვთქვათ: «წილობით» და არა «მთლად». გოეტპე იკვლევს მცენარეს ორმაგი ჰერეტი: წინისვე—მორჩიდან ყლორტამდე თუ ფოთლამდე, უკანისკე—ყლორტიდან თუ ფოთლიდან მორჩამდე. ამჩნევს: ამ ვითარების ხაზზე მცენარის ყოველი ნაწილაკისაგან შესაძლოა წარმოიშვას მთელი მცენარე. აკვირდება ამ მოვლენას. თუ ეს ასეა, მაშასადამე, მცენარე მთელი ყოველ ხტილში მისი ვითარებისა ვირტუალურ უნდა იმყოფებოდეს. ჰგონებს ასე. და აი 1776 წელს ხედავს ვაიმარელი მესაიდუმლო სახელია სილიაში წარმოსახვით «თაურმცენარეს» მცენარეში. ესე იგი: უხილავ მყოფად მცენარეს, ანუ: შინა-სახეს მცენარისა. «თაურმცენარე» იღებს სახელს: «ურფენომენ». «შინა-სახე» იგივე «იდეა» პლატონისა არსებითად. სხვაობა ნაირული: პლატონის «სახე» ყუდრობს ვითარ თესლი «მარადში»—გოეტპეს «სახე» ვლინდება «მოვლენაში» ვითარ ცენება თესლისა. დასკვნა: «თაურმცენარე» მცენარისათვის მითოსია—ვითარ არაოდეს ხილული მყოფადი, ხალა ყოველთვის გულებული. ხედავთ, როგორ ეს იტყვება ესე ფორმულაას: «არაოდეს ყოფილა, ოღონდ ყოველთვის არის!»



ამდენი მიხვედომხვევის შემდგომ, როგორც იქნა, მივადეით ენგაღს ვაქასი. «შინა-სახე». სხვა ხალხებს ამ ცნების გამოსათქმელად ორი სიტყვა ჰირდებათ. ქართველები კი ერთი სიტყვით გამოვთქვამთ მას: «ხატი». ბარში «ხატი» ნიშნავს სათავეანო სურათს რომელიმე წმინდანისა. გარნა «მთაში» ჯგრაყ არ დაუკარგავს მას პირვანდელი მნიშვნელობა: მითური. იქ «ხატი» სახელია სალოცავის. ხშირად მის მაგიერ «ჯვარიც» იხმარება. «სკანს იჯდა ბაბურაული გუდანს გუდანის ჯვარშია»—ნათქვამია ვაქას ერთს შაირში. «წილის მყარლები შევარდენ ბაბურაულთან ხატშია»—ნათქვამია იმავე შაირში. ხალა საკვირველი: მთიელთა «ხატში»-სალოცავში არავითარი «ხატი» მოიპოვება, «ბარის» გაგებით ამ სიტყვისა. შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, რომ «ხატი» შენობაა, საცა ლოცულობენ. შეცდომა იქნება. დავეუდლოთ ყუარი, რას ამბობს ფშველი მეომარი ვაქას უშესანიშნავეს შაირში «ფშველი ჯარისკაცის წერილი». იგი სწერს ღედას:

«ერთი რამ უნდა გაუწყუო,
გაკვირებულ ვარ ამითა:

როცა ომი გვაქვს ქართველის ჯარს,
ნათელი გვიძღვის ღამითა;
კაცი რამ ლურჯცხენიანი,
ამოღებული ხმალითა,
მალლიდან თავზე დაგებრუნავს
ტურფა იერით, ტანითა;
სახე აქვს შავად მოცული
მას დიდი კაეშანითა;
ეს ჩვენი ჩუმი მფარველი
ლაშარის ჯვარად ვსცანიითა.»

«ჯგვარი» ან «ხატი» რომ შენობა იყოს, რარიგ მოველინებოდა იგი მე-
ომართ როგორც «კაცი რამ ლურჯცხენიანი!» არა—«ჯგვარი» თუ «ხატი»
რქმევია შინა-სახის. ვისი სახის? ტომის, თემის; ვითარ არსისა: «მთელის»,
დააკვირდით. რიტუალური ლუდის გამოსახდელად წყალი «მთელმა» სო-
ფელმა «ერთად» უნდა მიიტანოს სალოცავში. ერთი დეტალი კიდევ. შესა-
წირავი მიაქვს სალოცავში ყოველ კომლს თანაბრად, მიუხედავად მეკომურ-
თა რიცხვისა. ვხედავთ ნათლივ, რომ აქ თავი-და-თავი «მთელია»—ტომი,
თემი—და არა «ცალკეული». «ჯგვარი თუ «ხატი»—ღვთიური «შუაგულია
ტომის, თემის, ლაშარის მითიური განპიროვნება ამ შუაგულისა ცალკეულ-
თა მისტიურ ხილვაში. არიან სხვა სახიერებანიც აღნიშნულისა: თამარ-ნეფე,
კოპალა, კარატე, არხოტი, ხახმატი, უკვე ნახსენები გულანი და სხვა—ოღონდ
ლაშარი მთავარია, ლაშარი: ბრწყინვალე, სხივოსანი. ღვთიური შუაგული
ტომის თუ თემის, მითიურ ლაშარში განპიროვნებული—აი საითგან გამო-
დის ვაჟა. აქა წყაროთვალი—ენგადი—მისი პოეზიისა.

ვაქას პოეზიას საბუთა იდეოლოგიურ ფორმულაში მოქცევა ყოველად
შეუძლებელია. ყოველი ცდა ასეთი განხილვისა მარცხით დამთავრდება: ან
ფორმულა დაიშლება, ან პოეზია და «შავ»დება. უფრო კი პირველი. წაუყუ-
ნოთ ფაქტი ფაქტს. ღვთიური შუაგული ტომისა თუ თემის, ლაშარში მი-
თიურ განპიროვნებული—საკრალური კავშირია («Religio»: კავშირი). ლე-
ნინის აზრით კი ყოველი რელიგიური რწმენა არის: «ტრუპოლოგესტეო». ამა
სწერს იგი გორაკის ერთ თავის ბარათში. მასსადაც: ვაქას ენგადი—
საბუთა იდეოლოგიის მიხედვით—«ტრუპოლოგესტეო» დ უნდა იქმნას მი-
ჩნეული. (თანმიმდევრობა ყველგან სასტიკად უნდა იქნას დაცული.)

მაშ რით ავსნათ უდიდესი ზეიმი, რომლითაც საქართველომ გადაიხა-
და 100 წლისთავი ვაქას დაბადების? ყურნალგაზეთების მიხედვით ვტყავნი-
ლობ, რომ საქართველოში გაუგონარი სიმძაღრით გადვიძებულან მშობლ-
ური ფესვები: აძრულან და აღვივებულან. ეს ფესვები მოქცეულ არიან ათას
წლოვან შრებში ადამიანის ქვეცნობიერებისა—მაშინ როდესაც «იდეოლო-
გია» გარჩენილია ზედაპირზე მისი ცნობიერებისა. ცხადია აქეთგან, რომ
მშობლიურ ფესვებს ათასჯერ უფრო მეტი ძალა აქვთ ვიდრე რომელიმე
«იდეოლოგიას». უბრალო მაგალითი. დავმეთ ქართველი კომმუნისტი რო-
გორც კომმუნისტი—შემოგიტევთ გახელებით. შეურაცხოს მას ვინმემ არა-
ქართველმა მისი ქართველობა—დუდას უტირებს. ირაკლი აბაშიძე, პოეტო,
კომმუნისტი. უნდა ვიგულოვ, რომ მას გაგონილი აქვს ლენინის ქეძადიერით
მწვევი და მდაღავი სიტყვა: «ტრუპოლოგესტეო». გარნა შემიძლია თუგინდ

* ან კიდევ: «ლაშარის ჯგვარი ჩამოვა, ყელზე ჩაგიდებს შაბანსა» («ლ» გვ. 19).

ერთი წამით დაეუშვა, რომ მასში ამ სიტყვამ იელვა, როცა მისსა და აკაკი შანიძის და გიორგი წერეთლის წინაშე, იერუსალიმის ჯვარის მონასტერში, დიდი შრომისა და ვაივაგლახის შემდეგ, უეცრად სვეტზე გამოანათა დიდმა შოთამ: დიდმა პოეტმა და დიდმა ქართველმა: დაჩოქილმა, ხელემაშართულმა, მთლიანად ლოცვაში გარდასულმა აქითხვევ დაუშვებელია აქ. ამ წუთს მას, ექსტაზით აყვანილს, ფრთები ასხმია სიხარულისა (წიგნითხუთ მისი გულისფარქალით დაწერილი «პალესტინის დღიური». «მნათობი» № 2, 1961).

(სულ სხვა ყოფილა აკაკი ბელიაშვილი. «ბლავუჩიას» მან ათქმევინა ქრისტეზე ისეთი საძაგელი რამ—ამის განმეორებაც არ შემიძლია აქ—რომლის მსგავსი საუფუნეთა მანძილზე «ძალ(ლ)თაპირსაც» არ წაცდენია. და ეს უნდა თქმულიყო ქართულ მიწაზე, რომლის ისტორიული სუნთქვა ძე ღვთისა იყო! მით უფრო სამწუხარაა ეს, რომ ა. ბ. ფრიალ ნიჭიერი რომანისტია.)

(სიტყვას მოაქვს და ვერ გაეუშვებ. შალვა ნუტუბიძეს უთქვამს წიგნში «ქართული ფილოსოფიის ისტორია»: «ქართულმა ეკლესიამ ქართული პროგრესიული იდეებზე მდგარი პოეტი რუსთაველი ქართული მონასტრის კედლის მხატვრობაში (იერუსალიმში) იოანე დამასკელის წინაშე დააჩოქა ქუჩის სასწავლებლად (მომავალ წერილთგან შალვა კაკულიასი, «საბჭოთა ხელოვნება» № 4, 1961). ნუ თუ? ანახატი ავტორის მიერ გულეგებული სურათისა დღეს ყველამ ვიცით. ვის შეუძლია თქვას, რომ ამ სურათზე რუსთაველი ვინმეს მიერ «ქუჩის სასწავლებლად» არის იოანე დამასკელის წინაშე დაჩოქილი?! აბა სცადოს ავტორმა ამ, ლბილად რომ ვთქვათ, «შეუღბამობის» განმეორება ახლა რუსულ წიგნში იმავე საგანზე—რომელიც წაივითხე—ამ «დაჩოქებაზე» სიტყვა აღარაა. თუმცა ქართული ეკლესიის «რეაქციონერ» როლზე ბევრი რამაა თქმული. მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს, ეს «ფაქტურა» წიგნი История грузинской философии დაწერილებით გაეპარჩო მომავალ რეველში ჩვენი ქურნალისა.)

გადახვევებმა გამიტაცეს. დაეუბრუნდეთ საგანს. საქართველოში, როგორც ვთქვი, გაუგონარი სიმძაფრით აძრულან და ღვივიან ათასწლოვანი ფესვნი მშობლიურნი. ჩემთვის ეს უღაგო ფაქტია, დიად სასიხარულო. (რით აიხსნება ეს—ამას აქ ვერ გამოვუდგები.) საკვირველი არაა, თუ 100 წლისთავს ვაქას დაბადებისა ასეთი ექსტაზით შეხვდენ, კომუნისტებიც კი—ვაქასი, რომელიც ერთერთი უდიდესი მსახივრებელია საქართველოს მშობლიური ფესვებისა.

ქართულ ლირიკაში 10 შედეგრი ვიცი. ესენია: «მერანი» ნიკოსი (დროა, «მერანის» ავტორი მარტო სახელით ვახსენოთ ხოლმე, როგორც: შოთა, ბესიკი, ილია, აკაკი, ვაჟა). «ყანაო», «სულიკო», «ნესტორ ესებუას ჰიდლი კუ-ლა გლდანელთან აკაკისა. «ნიკორწმინდა» გალაქტიონისა (გალაქტიონს უკვე იმდენად მოუხვევია სახელი, რომ მას მეტწილ მარტო სახელით ახსენებენ). «არგვეთის ღამეები» და «წერილი დედას» პაოლო იაშვილისა. ორბი» კონსტანტინე ჭიჭინაძისა. ერთი სტრიქონი ილია მოსაშვილისა, რომელიც მთელს შირს უდრის: «უფსკრულებიკენ გაქანებულ უზანებდიან!» «ნოემბრის ქარში» ალექსანდრე აბაშელისა. უკანასკნელი შედეგრი, ვფიქრობ, ბევრისათვის უცნობი უნდა იყოს მე იგი პირველად ლაშაურის ხსენებულ წიგნში წაივითხე. სასურველად ვთვლი აქ მოვიყვანო.

«ნოემბრის ქარში ცივ ქუჩაში მოხეტიალეს
შემაკრთობს ზარი და ტაძარში შევალ შემთხვევით.

მოვისმენ დალადს, ძველი გრძნობა უცებ იელეგებს,
აენათებ ცრემლით ჩემს წამწამებს და ჯვარს ვემთხვევლი.
კრიალებს ვერცხლის სატეცხლური და საკმეველი
აღსავლის კარებს ცისფერ ღრუბლად ენარჩარება.
მორწმუნეთ შორის ვდგავარ უცხო კათაქმეველი,
მაგრამ «განვედი» ჩემს ოცნებას არ ეკარება.
თავდება ლოცვა, ახსენებენ ჯვარზე წაწამებს,
დამავიწყდება, რომ შემოველ მე აქ შემთხვევით.
აენათებ ცრემლის ნაპერწკლებით დახრილ წამწამებს,
გადავდგამ ნაბიჯს მოწიწებით და ჯვარს ვემთხვევლი.»

აი შედეგები ქართულ ლირიკაში (შედეგები—ჩემთვის: ჩემს გემოს, რასაკვირველია, არავის ვაძალებ). შედეგები—მიხედვით ჩემ მიერ გამოძე-
წული ფორმულია: შინაარსისა და ფორმის ნამდვილი შერწყმისა ხელოვ-
ნურ ნაქმში. (ამაზე შემდეგ რვეულში—წერილში ვალაქტიონ ტაბიძეზე. ხაზს
ვუსვამ: «ჩემ მიერ»—ვინაიდან ასეთი ფორმულა ევროპაშიაც არ მეგულე-
და.) ჩამოვთავალ 10 შედეგები. ეს იმას არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ ჩვენ
არ გვექონდეს ბევრი ბევრი კარგი ძალიან კარგი შაირები: როგორც აქ სხენე-
ბულ ისე არ-სხენებულ ავტორთა. ოღონდ «ძალიან კარგი» ერთი და «შედე-
გები» სხვა.

ავილოთ ახლა ვაქას უშესანიშნავესი შაირი «ფშაველი ჯარისკაცის
წერილი». წმინდა-ლიტერატურული განზომებით იგი ვერც ერთი მათგანი-
ველი შედეგს ვერ გაეტოლება. სხვა განზომით კი მას ვერც ერთი მათგანი-
ვერ შეედრება. ეს შაირი მოდის ტომის თუ თემის ლეიონური შუაგულითგან,
ლაშარში მითითებულ განპიროვნებულთგან. (დამაიწყდა მეტყვე, რომ ეს
«შუაგული», «მთაში» ჯერ კიდევ მფეთქავი, in nuce, ტონასია მთელი «ცხო-
ვრებისა ქართლისაჲ»; აი მაღლიანი თემა ისეთი ნიჭით დაჯილდოვებული
მკვლევარისათვის, როგორცაა ავტორი «გეორგი მერჩულე» სი). მოდის
თავისთავად, უშუალოდ. ეს კი მეტია ვიდრე «ლიტერატურა». ამ «მეტშია»
სწორედ მოქცეული საიდუმლო ვაქას პოეზიისა.

«ეს ჩვენი ჩუმი მფარველი
ლაშარის ჯვარად ვსცანითა».

ურწმუნოც კი დაიჯერებს, რომ ფშაველი ჯარისკაცისათვის—ბოლოს-
და-ბოლოს ვაქასათვის—ეს «მოჩვენება» კი არაა: ნამდვილი რეალობაა. მიე-
ცით იგივე თემა რომელიმე «ბარელ» პოეტს, თუგინდ გენიალურს—ნამდვიე
—«მოჩვენებას» ვერ გაცილდება. რამდენჯერ მაქვს წაკითხული «ფშაველი
ჯარისკაცის წერილი»: უცრემლოდ ვერ წამიკითხავს! მთელს საქართველოს
ვგრძნობ აქ ვითარ ცოცხალ არსს. მარტოდ-მარტოდ ეს შაირი რომ შეექმნა
ვაქას—იგი მაინც ვაქა იქნებოდა. ვისაც კსურს ჩაწვდეს ვაქას პოეზიას
ფსკარამდე, მან გამოსავალ მუხლად «ფშაველი ჯარისკაცის წერილი» უნდა
აილოს.

ნაუნებში—ვაქას პოეზია. (ციტატები—ვაქას «რჩეულითგან» უმთავ-
რესად. ზოგნი—1922 გამოცემულ «ლექსებითგან» ვაქასი: ნიშანი ამათვის
—«ლ».)

1. კორნელი ზელისნიკი წერს («მნათობი» № 7. 81): «ვაქაფშაველა არ იყო
ლიტერატორი. იგი იყო რაღაც უფრო დიდი» (ეს «რაღაც» უკვე გავხსენი
ზემოთ. გ. რ.). «ეს იყო ადამიანის ხმით მომღერალი ბუნება» (ეს გადაუარბე-
ბული მეტაფორაა. გ. რ.). «ეს იყო ხალხი, რომელიც მისი პირით აღმოთქვა-
მდა თავისს ეპოსს». ეს ნამდვილია. ოღონდ «ხალხი» უნდა ვიკულისხმოდ

არა როგორც ამა-თუ იმ დროს სტატისტიკით მოცემული გროვა ცალკეულ-
თა, არამედ—გავიხსენოთ, რა ითქვა ზემოთ ტომზე თუ თემზე როგორც ცო-
ცხალ მთელზე—არამედ ვითარ ზეპიროვნული არსი, რომელი «გუშინ» სხვა
იყო და «დღეს» კიდევ სხვა გარანა შინაგან ყოველთვის იგივეა. თორემ «ხალ-
ხი» ესეცაა: «ლინიაზე ზაველია, პოეზიი აპაზდანისა შეება» (ელ. მიაკოფ-
სკი, რომელმა უცხო ენათგან მხოლოდ ქართული იცოდა, ამით ახლებდა
მეგობრულად პაოლსა და ტიციანს.)

2. ხალხურია ვაჟა—ხალხურია აკაკი. განსხვავება. ვაჟას პოეზია მაშინ-
ნაც ხალხურია, როცა იგი პირადად იყო—აკაკის პოეზია პირადად
მაშინაც, როცა იგი ხალხურიცაა. პირველი ხალხურ-შობილია, მეორე ხალ-
ხურ-ქცეული. მაგალითი: ვაჟას «ჯეჯილი» და აკაკის «ყანაა».

3. შიირში ვაჟასი «ფშაველი ჯარისკაცის წერილი» თავიდათავია «ჩვენ»
ტომისა თუ თემის. შიირში პაოლო იაშვილისა «წერილი დედას» თავიდა-
თავია «მენ» ცალკეულისა. ნამუანს ზემოთქმულის შემდეგ ახსნა აღარ უირ-
დება. (შენიშნვა. პაოლს რჩეულ შიირებში ეს მისი შიირი დათარიღებუ-
ლია 1917 წლით. შეცდომაა. კარგად მახსოვს: პაოლომ ეს შიირი წაიკითხა
პირველად პეტრე ქავთარაძის ოჯახში, ნავახშმევს, საქართველოს გასაბჭო-
ების წინა დღეებში. წაიკითხა როგორც ახლად შეთხზული. ამას ეს სტრი-
ქონიკ მოწმობს შიირისა: «იქნებ ჩვენ თბილისი ხვალ ყველამ დაეტოვოთ!».)

4. გმირული ვაჟას «ბახტრიონში» მითიურ სტილს იღებს. «თორნიკე
ერისთავში» აკაკისა გმირული ისტორიულ ამბავად რჩება.

5. ილიას «ბახალეთის ტბა» ბალადაა. ახლა დავეგდოთ ყური ვაჟას
შიირს «ილია ჭავჭავაძის სახსოვრად»: «ვინ ამოიღებს იმასა?» აკვანს. «ან
იმ ბაღს ვინ უპატრონებს?» ვხედავთ ნათლივ, რომ ვაჟასთვის ეს «ბალადა»
არაა.

6. იმ «ღვთიურ შუაგულში არაა წყვეტი გარდაცვილითა და ცოცხალ-
თა შუა».

«არ დაივიწყებს ივერთა
თქვენი პატარა კახია» («ხმა სამარადამ»).

«სულეთს შავიდეს ხმლიანი
ლადი ლადისა ცხენითა.
წინ მიუძღოდეს არწივი
ხმით მოყაყააშე, ფრენითა.
ქება უყივლონ გმირებმა,
გადასრულებმა ჩვენითა.
ერეკლემ ხმალი მაჰხვიოს,
დაისვას თავის გვერდითა,
გამაეგებოს თამარი
მცინარი, თავის ფეხითა» («კაი ყმა»).

ოცნებას ეუბნება:

«ჩვენს ილიასაც იქ ნახავ,
გთხოვ, ანუგეშო სიტყვითა» («ილიას საღამო»).

უცხო ფრინველს მოაქვს ბარათი საიქითგან. წერია:

«ჩემთვის ნუ სტირი, საწყალო,
ჩემი სამყოფი ჰყვავისა,
გვიმღერის ტკბილ სიმღერებსა,
შოთაც გვერდითა გყვავისა.
ტახტზე ბძანდება თამარი,

დილის ცისკარსა ჰგავისა.

ვახტანგს მოურჩა წყლულები,

იმედისა აქვს ზმალისა.

დავითმა ნება აიღო

კავკასიის ერთა ზავისა»—(მოდურინდა უცხო ფრინვე-

ლი»). განვადგრო მაგალითების მოყვანაა? საჭირო არაა.

7. ასეთს უმაგალითო ისტორიულ «ნაშენების» ში განსაკუთრებული ადგილი უკავია თამარს. «ბარში» ვეთაყვანებით მას წარმოსახვით—«მთაში», როგორცა ვთქვი, «ხატიცაა» მისი. აკაკი «იგონებს» თამარს—ვაჟა «მზერს» მას. ჯავისხენთ მისი მეორე შედეგერი «დიდი თამარი». ამ შაირში ერთი უმჩნევი მაგრამ შეტად შეტყვევლი დეტალია. ვაჟა არ ამბობს: «თამარ, ცოცხალსა გხედაო». არც ამას ამბობს: «თამარს ცოცხალსა გხედაო». ამბობს: «თამარს ცოცხალსა გხედაო». «მას»—«გხედავ». თამარ სხვაგანაცაა დაამავე დროს მისი, ვაჟას წინაშეც. უფრო ნათლათ ყველგანყოფა თამარისა საქართველოში, საკუთრივ «მთაში», წარმოუდგენელია. «თამარს ცოცხალსა გხედაო». არც ერთს სხვა ენაზე ეს ნათუანის არ გადაიცემის. ქართულში ეს შეთვისება მესამე პირისა მეორესთან გრამატიული აბრუნდის არაა. «თამარს ცოცხალსა გხედაო»—სწორუპოვარი სტილი მითითური არქმევისა, ზმანულის.

8. «კაცობრიობის პირველქმნილი ბავშობა»—ამბობს ზელინსკი («კომუნისტი», 19.7.81). ნამდვილია.

«შენა ხარ ერის სიცოცხლე,

თავი არ მომიკვდებაო»—ეუბნება პოეტი თამარს.

«დიდება უფლის სახელსა,

რა კიი საქმე მომხდარა» («ლ», გვ. 205). ასევე:

«დიდება ქვეყნის შემქნელსა,

რა კარგად დაუწერია» («სოფლის წესი ასეა»).

9. სისათუთე და სინაზე.

«აღალიც იმაზედ არის

ნანა და ძუძუ დედისა» («ლ», გვ. 85).

«ჩემს ცრემლს უბეში ინახავ,

ვიცი, სამშობლოს მთვარეო» («ლ», გვ. 193).

ჩამოსქდა ცრემლი): «მეც მივიფარე

თვალეზზე ხელი» («ლ», გვ. 61).

10. უშუალობა. პაოლო იაშვილის შაირში «არგვეთის ღამეები» მთვარე გასაოცრადაა ახატული. გარნა მთვარე თავისთვისაა ცალკე—ასევე ავტორიც. ვაჟა კი პირისპირ დგას მთვარესთან (შაირში «მთვარეო, ბევრმა გიმღერა») და «პირში» ამასაც ეუბნება:

«და ჭორფლი კავშანისა

სახეს გაქვს გადაკრულადა».

11. გზნება უზენაისისა.

«გულზე მესვენა მზე-მთვარე,

ვლაპარაკობდი ღმერთთანა» («ლ», გვ. 40).

«მაგრამ გაიგებთ, ერთხელაც,

ვინ ახლოს ვსდგევართ ღმერთთანა» («მე რო ტირილი

მწადეს»).

«ლოცვა-კურთხევა უფლისა

მოდის ხევიდამ ხევითა» (პოემა «ხის ბუკი»).

აი ვინ არის ვაჟა და არა — — —!

ახლა: ზემოხსენებული წერილი ვიქტორ გაბესკირაისი. წერილი ღრმა-
დაა მოფიქრებული, თანაც დიდი სიყვარულით აღვივებული ვაქასადმი.
ვიტყობა შენიშვნები.

1. ავტორი ცდილობს ახსნას უცნაურობა ვაქას ზოგიერთი პოეტური
სახეებისა. მოჰყავს ანალოგიები. პირველად პუშკინის პოემითგან «ბრინ-
ჯაოს მხედარი». წყალდიდობა. ნევამ გადმოლახა ნაპირები.

«Осада! Приступ! Злые волны,
как воры, лезут в окна.»

მდინარის ადიდება კლებულობს—იწყება მისი უკუქცევა.

«И грабежом отягощены,
боюсь погони, утомлены,
спешат разбойники домой,
добычу на пути роняя.»

ტალღები და «ქურდები»? ტალღები და «ავაზაკები»? ეს «უცნაუ-
რობა» კი არა—პირწავარდნილი «უმსგავსებდაა!» რაც არ ვარგა, არ ვარგა
—იყოს იგი თუგინდ პუშკინის ნაქმიც. (ამ დღეებში წავიკითხე «მნათობის»
ამა წლის შეიქმნა რეჟულში მოთავსებული წერილი ვინმე გასტონ (!) ბუაჩი-
ძისა თანამედროვე ფრანგი პოეტის სენ-ჟონ პერს-ის პოეზიაზე. აფრთვანე-
ბით მოჰყავს ნიმუშები ამ პოეზიისა. შევიტყვე ანაზღვეულად, რომ ტალღას
«თქო» ჰქონია და საათს «ნაბიჯები». ეს კიდევ არაფერი. ზღვა თურმე «ფეხ-
შიშველი» ყოფილა და ეს ამდენ ხანს ვერ შემომჩნევია! ამ პოეტს შარშან
ნობელის პრემია არგუნეს. ალბათ ასეთი «მარგალიტებისათვის».)

2. მეორე მაგალითი «უცნაურობისა». ავტორი ამბობს: «... აბო თბი-
ლელის ძეგლები, რომლებიც არაბებმა მტკვარში გადაჰყარეს, ხანძელმა
ვარსკვლავებდა დასახა, მოკაშკაშე მთიებდა წარმოიდგინა». არ გამოდგება
მაგალითად, ვინაითგან ხანძელის სიტყვა ძეგლებზე წამებული აბოსი თქმუ-
ლია პლანზე ჰაგიოგრაფიისა და არა ჩვეული ლიტერატურის: ჰაგიოგრაფი-
აში წმინდად-ქცევა ხორციელ ნაწილთა წამებულისა იგულისხმება ვითარ
მათი შუქფენა. (ავტორისათვის აბო ტფილელი სამშობლოსათვის წამებუ-
ლია. სიზუსტე მოითხოვს ითქვას: «სარწმუნოებისათვის».)

3. ავტორს შეეძლო აეხსნა, რაოდენიმედ მაინც, უცნაურობა ვაქას ზო-
გიერთი პოეტური სახეებისა, რომ ცდილიყო, უცნაურობა იგი პოეტის მი-
თიური ხილვისაგან გამოეყვანა. ხილვა მითიური თავისებური ზმანებაა და
ვიკით: სიზმარში ხშირად ერთი მოვლენა უეცრად სრულიად სხვა მოვლე-
ნად იქცევა, ან და ერთის ასეთს: უკავშირდება. გასაოცარ მაგალითს ამგვარ
ხილვისა იძლევა ერთი ხტილი ვაქას შაირისა «ღამე მთაში» (ავტორს ეს
შაირი გამოპარვია). აი ეს ხტილი: (მთვარეს)

«ჯერ თუ არ გაუღვიძნია.
ისევ თუ სძინავს მკლავზედა».

ამ ხაზზე ვაქა ყოველთვის ვერ გამოდის გამარჯვებული. მარჯისათვის
აქ აუცილებელია: პოეტში ერთი ბეწოთიც არ დაირღვეს მართებული ცე-
ზურა პირიველისა და ზეპირიველის შუა. ეს რომ არ დაირღვეს, ამისა-
თვის საჭიროა თავშეწირვით ერთგულება პოეტისა მისდამი, რისი შემო-
ქმედებით დენა მას მაღლითგან ეძლევა: ენიჭება.

(სასურველია, ეს დებულება ცხადყოფა დაწერილებით ერთს მაგალითზე:
ენის მაგალითზე. როცა ვიბადებით, ენა მზად გვხვდება წინ. როცა ათარი-
ლებენ, რომ ესადაც ენა ამადამდრომდე არ ყოფილა, ეს მხოლოდ იმას

ნიშნავს, რომ იგი მანამდე არ ყოფილა განვრცობილი (არა: «გავრცელებული») და არა იმას, რომ იგი არიყო, განაშვილებდა «არშოფის» დათარიღება? ენა მომდინარებს ბნელი უსაზღვრეობითგან. გვეხდება წინ მზად. ვითარდება ცალკეულთა მიერ — იმ პირობით მხოლოდ: თუ ცალკეული ერთგულებას თავშეწირვით იჩენს მისდამი. თუ არ გამოიჩინა? მაშინ იგი ენას ღალატებს და ქმნის უბადოს. განა ამ ღალატის ნაყოფი არააყოფელი ეს ქართულმწერლობაში? ეს ყოვლად უაზროდ ხმარებული «ამოცანა!» ეს ნაბუნძარი «კომიტეტი!» ეს ჰირეული მრუდედ ხმარებული «ალიქვამს!» ეს უხვირო «დამწერლობა!» ეს უხიკი «ვადიარება!» ეს ყოვლად მახინჯი «ცხოვრებისეული!» ეს აბსურდი «მიგვანიშნებს»: გამოთქვამს საწინააღმდეგოს მისსა, რისი გამოთქმაც კსურთ! ეს სასაცილო «ბრძანებულება!» ეს უხამსი «სტალინური კონსტიტუცია!» ეს უბადო «ლენინური დოკუმენტები!» რომელი ვახსენო კიდევ? თვით «ახლებურად», რომელიც გრამმატიკულად მართებულ წარმოებულა — «მელებურად»: «ახლებურად» — არ გაგიკვირდეთ: დროს მომენტის განუვრეტი არაა სწორი (ამას ნათელყოფ, როცა შემდგომ რვეულში ჩვენი უტრალისა შევეხები აბრუნდებს ქართულში). ერთი მაგალითი კიდევ, ყველაზე უფრო საოცარი. ერთს დიდ მკვლევარს ქართულისა — ხაზს უსვამ: დიდს მკვლევარს — დუდგენია: «შენ მიმართ», ასევე «თქვენ მიმართ». გამოპარვია ეს ნიუანსი ქართულისა. «იგი(ის)» დვასგარე რკალისა «მე-შენ». აქეთგან მიმართებითი ხაზი. «მის მიმართ». «მე-შენ» კი ერთ რკალში პირისპირ მოქცეული. აქეთგან მომართებითი ხაზი: «ჩემ მომართ» — «შენ მომართ». ასევე «ჩვენ მომართ» — «თქვენ მომართ». ავტორი რომ მართალი იყოს, მაშინ გრიგოლ ხანძთელს თავისს ძლისპირში მაგიერ ამისა «დალადებად შენდა მომართ» უნდა ვთქვა «დალადებად შენდა მიმართ», «მომართ თქუენისა», ნათქვამია ზიარგი მერჩულეს წიგნი წმ. გრიგოლ ხანძთელზე. ეს მარცხი თუ დიდ მკვლევარს ქართულისა დაემართა — სხვებზე რაღა უნდა ვთქვათ! ძნელია ქართული. შესაძლებელია, არც მე გიყვე აქ უცოდველი, შესაძლებელია. ერთი კი ფაქტია: ჩემი სიტყვარი და სინტაქსური ზმევა, ნაწილობრივ მაინც, შესულია უმჩნევად და დამკვიდრებული ქართულ მწერლობაში ახალი ხანისა. «უმჩნევად» — მთელი ოსტატობა ჩემი აქაა. დაწვრილებით — აღთქმულ წერილში. გადახვევამ გამოიტაცა.

თუ ასე ძნელია დაცვა ხსენებული «ცეზურისა» ენის მიმართ — რაოდენ ძნელი უნდა იყოს მისი დაცვა ხალხური ზეპირი ენული შემოქმედებითი დენების მიმართ! ავტორს, გაბესკირიას, მოჰყავს ერთი ტელი ვაჟს შაირთგან «მთა და მთვარი». მთვარე ამბობს: მომწყინდა ყოფა, მომწყინდა წყვილდთან ბრძოლაო. კსურს სამუდამოდ მოცილდეს ამ სოფელს — მაგრამ მთა არ უშვებს. ესაა, მთვარე მთის მწვერვალს უნდა გადასცილდეს — შირში არაა ეს თქმული, ოღონდ ნათლივ იგულისხმება — და სამუდამამოდ ჩაეშვას უკუნეთში, მთა წვდება მისს საყელს და აჩერებს. ნათქვამია: «ამ დროს საყელო უტაცა». ავტორი გამხილველი გაშტერებულია. ვინ არ გაშტერდება ამის წაკითხვისას? «ამ დროს საყელო უტაცა». ეს სახე ვაჟს მარჯად არ ჩაეთვლება.

4. ერთობ: ვაჟს ძალა საკუთრივ «სახეებში» კი არაა, არამედ «თქმებში», რომელნიც თავისთავად იქცევიან სახეებად, ასე ვთქვათ: ატმოსფერულად. «ჯიხემა თქვა სალის კლდისაში». «დღისთვის გაშლილი პირი-მწერ». ან და იგივე: «თამარს ცოცხალსა გხედაო».

ფშავხევსურული ფშანი ქართულისა. ამაზე ვრცლად შქონდა სიტყვა «ლამარას მოკლე ბიოგრაფიაში» («ბ. ქ.» № 17). იქ თქმულითგან არსებითი აქ უნდა განვიმეორა. 1917 წელს პავლე ინგოროყვამ თქვა ერთხელ ჩემბითი გასაუბრებისას: ფშავხევსურული არქაული ქართულია და არა პროვინციალიზმი. მე დავაზუსტებდი: ერთი ძველთაძველი ფენი ქართულისა, მთებში შერჩენილი და დღემდე ცოცხალი. პროვინციალიზმი სიცილს თუ არა ჩაკინვას იწვევს. იწვევს ამას ფშავხევსურული? კითხვაცკი შეურაცხება იქნებოდა აქ. იტყვის იმერელი: «წეიომასქენი, ბოშო, პეტერეი!». გესმით—გეცინებათ. აბა ათქმევინეთ ესევე ხევსურს: «ჰქენ საქმე იგი, იყოს ცოტაიცი!» გესმით—შუაგულში გხვდებათ. გაუგებრობას ამ საკითხში თვით აკაცი წამოეგა. «ენას გიწუნებ, ფშაველა»—ასე მიმართავს იგი ვაქას ერთს შაირში. თანვე უმატებს კი: «თუმც კი გვითესავ მარგალიტს». ვაქა პასუხს აძლევს ორიდებით, შაირითვე:

«და ენა მთისა სიმტკიცით
მსგავსია კლდისა სალისა».

ფშავხევსურული მართლაც სალი კლდის ნაკვეთია ყოველ თქმაში. კვეცილი ფორმა ამ ფშანისა მკვეთრია ძალზე და დავუმატებდი: ვაქურ-მკვერივისწორუპოვარი ვლიბისი ქართულისა—ართქმული, გარნა ნავლისხმევი—ფშავხევსურულში მოშვილდულია პირდაპირ.

სერგო კლდიაშვილი ამბობს («კომუნისტი», 28.7.81): «ეს კილა (ესე იგი: ფშავხევსურული) მან (ვაქამ) მართლაც დიდებულად მოიმარჯვა და დღეს ჩვენ შეიძლება ვუვიც დაგვებადოს: იქნებოდა თუ არა ვაქას პოეზია იმგვარადვე ძლიერი და შთამბეჭდავი, რომ თავის ამ სტრქაში არ დარჩენილიყო პოეტი?» არ იქნებოდა—ეამბობ ამას გადაჭრით.

ზოგად-ლიტერატურული ქართულით ძნელია გამოთქმა იმისა, რაც ზემოთ მერვე და მეცხრე მუხლში ნაუანსებისა მოყვანილია. სახეში მაქვს არა სიტყვარი, არამედ ტონალობა. მეტყვიან: ვაქას პოეზია თარგმანებშიც რომ დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, საცა ეს ტონალობა არაა გადაღებული! პასუხი: კიდევ უფრო დიდს შთაბეჭდილებას მოახდენდა, რომ შეიძლებოდა მისი გადატანა.

ამასთან დაკავშირებით ერთი ფაქტი: უმაგალითო შემთხვევა მსოფლიო ლიტერატურაში. შაირის თხზვიხას ვაქა ფშავხევსურულს მიმართავს—გეჟულისხმობ უფრო ტონალობას ვიდრე სიტყვარს—პროზის წერისას კი ზოგად-ლიტერატურულ ქართულს. ვხედავთ ნათლივ: პოეტი ისე ღრმად გადანტილებულია ტომის თუ თემის შაირულ დენებში, რომ იქეთგან გამოხტილება უადრესად უძნელდება. გამოანაკლისი აქ ორიოდ შემთხვევა თუა. და დანე: გამოანაკლისებში ვაქა აღარ არის ვაქა. აიღეთ მაგალითისათვის შაირი «ლევ ტოლსტოის გარდაცვალებაზე». თავითგან ბოლომდე «ბარულადაა» თხზული. არ ვარჯა, ღბილად რომ ვთქვათ. იქ ერთადერთი ხეირიანი სტრქიქონია და ისიც რეტორიული: «მან სიყვარული ჰაერად შექმნა». არა, თავისს სტიქიაში რომ არ დარჩენილიყა ვაქა—უბრუნდები სერგო კლდიაშვილის ვამოთქმას—მისი პოეზია არ იქნებოდა ასე ძლიერი, ასე შთამბეჭდავი.

«გველის მუამელი» და «ლამარა». ქართული თეატრის დადგმების მიმხილვებში სშირად ახსენებენ «ლამარას». ამავე დროს თვლიან მას, როგორც დრამას, მოქცეულად რკალში ვაქას შემოქმედებისა. ამის მოქმედთ ან «ლამარა» არ გაეგებათ, ან ვაქას შემოქმედება, ან და ორივე, რაც უფრო სწორად შეჩვენება. ჯერ კიდევ 1953 წელს აკაცი ვასაქამ—სხვათა შორის,

სწორუპოვარ გამსახიერებელმა მურთაზის როლისა «ლამარაში»—უკანასკნელს ასეთი ფორმულა მოუხაზა: «ვაჟა-ფშაველას მიხედვით განსცენიურებული პიესა» (კრებული: «ქართული თეატრის აღდგენის 100 წელი»), «ლამარა» წავიკითხე მსანიობთა და რეჟისორების წინაშე 1924 წელს შემოდგომის მიწურულში. დავიჯერო, რომ ამ «აღმოჩენისათვის» აკაკის, გონიერ კაცს უთუთო, 28 წელი დასჭირდაა? ისიც ვერ გამოუთქვამს ხეირიანად, რისი გამოთქმაც კსურს. «ხრიკისათვის» მიუშართავს ნაცვლად ნათელი სიტყვისა—ღმერთმა იცის, რატომ. დავიწყებია მხოლოდ—თუ იცოდა—რომ «ხრიკი» სადაც გიმტყუნებს და: გაგცემს. დაავივრდით მისს ნათქვამს: «ლამარა»—«ვაჟა-ფშაველას მიხედვით განსცენიურებული პიესა». გეგონებთ: თითქო ვაჟა გვერდით ვდგა რეჟისორებს, რომელნიც მისიამოთუმი ჩვენებით ხელმძღვანელობდნენ, როცა მუშაობდნენ პიესის განსცენიურებაზე ასე გეგონებთ. ვინმე ვასილ კიკნაძეკი წეროლში «ვაჟა და ქართული თეატრი» («ლიტ. გაზ.», 18.8.61) პირდაპირ ლაპარაკობს. «ლამარა», «ბანტრიონი», «მოკვეთილი»—«იი ხაზი ვაჟას თეატრისა, ავტორის აზრით. («ვაჟას თეატრის», ანუ-ვაჟას ხაზზე გამართული ქართული თეატრის.) «მოკვეთილი». ეს დრამა ვაჟასი ახლა წავიკითხე. ძალიან სუსტია, მეტი რომ არა ვთქვა. ვასაგებიცაა. ხალხი—და ვაჟა ხომ ხალხის მეტყველია—ლირიკოსია და ეპიკოსი, ხოლო დრამატურგი არა. «ბანტრიონი». ვინმე ვთერ გუგუშვილის სიტყვით: «ვაჟა-ფშაველას ცნობილი პოემის სცენური ვარიანტი» («საბჭოთა ხელოვნება», № 5, 1961). ავტორი: ვინმე დავით გაჩეჩილაძე. რა შუაშია აქ «ლამარა»—ეს ჩემთვის გაუგებარია. მართალია, გამოსავალი მუხლი «ლამარასი» და ვაჟას «გველის მუშაობისა» ერთი და-იგივეა. მაგრამ ეს მუხლი არც ჩემია და არც ვაჟასი: იგი ხალხის კუთვნილებაა. და მჭირდება მე, განა, მოქცევა ვისიმე რკალში, იყოს იგი თუგინდ ისეთი პოეტისა, როგორცა ვაჟაა? არა!

მე «მომავალი» ვარ და დამცველი არავინ მყავს. მკითხველი მომიტყვებს ამისათვის ამ გადახვევას. ჩემს შემოქმედებაზე არსებობს საკმაოდ მზარდილი ლიტერატურა. სახეში მაქვს არა უთვალავი რეცენზიები და წეროლეები, არამედ მთელი რიგი საფუძვლიან ნარკვევთა. ავტორნი ერთმანდალიარებენ თავისებურობას, დიად, თავისთავადობას ჩემი შემოქმედებისა. მოვიყვან მხოლოდ ერთს მაგალითს. გამოჩენილი ფრანგი მწერალი. მარსელ ბრიონ, რომელსაც არა ერთხელ რგუნებია ლიტერატურული ჯილდო, აი რასა წერს თავის ღრმადმოფიქრებულ ნარკვევში ჩემს რომანზე «მეგია»: «Je ne connais rien dans la littérature européenne qui ressemble à ce livre». მიიხარით: ჰირდება ავტორს ასეთი რომანისა ვისიმე რკალში მოქცევა? დამეთანხმებით: კითხვაც ზედმეტია. ხელოვნურ რაობაზე «მეგისა» ამბობს ავტორი: «... indépendamment de son sujet, le récit lui-même est devenu un être vivant, une sorte de réalité seconde du livre». მხოლოდ ფრანგს, უკეთ: მხოლოდ ფრანგულს შეუძლია ასეთი იშვიათი ნიუნსის გამოთქმა. თვიონ მოთხრობა თავისთავად, დამოუკიდებლად სიუჟეტისაგან, ცოცხალ არსად ქცეულა, ასე ვთქვათ, მეორე რეალობად წიგნისაო. ამაზე მეტი არა უნდა ითქვას ლიტერატურული ნაქმის ჩამოსხმულობაზე. განსხეულებაზე? არაფერი. გკითხვით: ჰირდება ავტორს ასეთი წიგნისა სხვის რკალში მოქცევა? დამეთანხმებით: კითხვაც ზედმეტია. მე არ მჭირდება არავის რკალი, იყოს იგი ვაჟასი თუ სხვისი ვისიმე, ქართველისა თუ არა-ქართველისა. ვიმეორებ: «ლამარას» არავითარი საერთო არ აქვს ვაჟას «გველის მუშაობისა»—გარდა გამოსავალი მუხლისა, რომელიც, როგორცა ვთქვი, ჩემი თუ არაა, არც ვაჟასია: იგი ხალხისაა. გავარჩიოთ!

«ლამარა» შესდგება ხუთი აქტისაგან და არა ოთხისაგან, როგორც სცენაზე იდგმება. მეოთხე აქტი—ნამდვილი დედაგული დრამისა—ამოიღო და განზე მიავდო რეჟისურამ. პიესის დინამიურობას ანელებსო—ამტკიცებდა კოტე მარჯანიშვილი. (როგორც ვიცით, თავში კოტე და სანდრო ახმეტელი «ლამარაზე» ერთად მუშაობდნენ.) იმაზე არ დაფიქრებულა, რომ ხშირად გარეგან შენელებაში უმძაფრესი შინაგანი დინამიურობა ღვივა. რეჟისურამ მოჰკვეთა მეოთხე აქტს უქანასკნელი სცენა და შესამეს «მიაკრა» ბოლოში.

ავიღოთ პირველი აქტი. მონახეთ იქ თუგინდ ერთი წვეთი «გველის მუამელითგან». მონახეთ—სიტყვა უკან წამიღია. ვერ მონახავთ. მეოთხე აქტი. მონახეთ იქ თუგინდ ერთი წვეთი «გველის მუამელითგან». მონახავთ.—სიტყვა უკან წამიღია. ვერ მონახავთ. მეორე და შესამე აქტი. აი რა მაქვს თქმული ამ აქტებზე «ლამარაში» მოკლე ბიოგრაფიაში—ეს მაშინ, როცა გაგონილიც არ მქონდა ამბავი «ლამარას» ვაჟას შემოქმედებაში მოქცევისა. «ესახავდი მინდიას, თვალწინ მიდგა მისი მომღერალი: ვაჟა. გავებდე ცდა: მგოსანი «ლამარაში» მისნის თანამედროვედ შემეყვანა. როგორ? ისტორიული პიროვნება—თანამედროვე ზეისტორიულის, შიითურისა? ავტორი—გვერდით მისი გმირისა? ეს შეუსაბამობა ვიცოდი. გარნა ვიცოდი ისიც, რომ ვაჟა შიითურ სივრცეში იყო მოქცეული: შიითსი მისთვის დედინობილა იყო. არა, ალღოს არ უღალატნია ჩემთვის, ცდა არ გამშბილებია. მესამე კამარაში (აქტში) ვაჟა გამოჩნდება ხევისურთა ღრეობაზე. მეორე კამარაში (აქტში) «გველის მუამელის» ადგილთ, სატარა ლავახის მიერ წარმოთქმულთ, თვითონ მინდიაც ისმენს: ადგილთ, საცა მისანი სამყაროს მიმართ ისახება. «თანამედროვობა» ვაჟასი და მინდიასი აქ უშუალო სიახლოვედ ხდება. ამ ცდას სურვილიც ასულდგმულებდა: «გარემოვლით» გამომეთქვა ჩემი ვრქაბოა ჰომერის ნაშეიერისადმი: ვაჟასადმი».

აი რას ვწერდი შვიდი წლის წინ. ახლა ვეკითხები მკითხველთ: «ლამარა» შედის ვაჟას შემოქმედების რკალში, თუ ვაჟა «ლამარას» რკალში? პასუხი უსიტყვოდაც ცხადია. (გაუგებრობის ასაცილებლად. ვაჟას შესლევა რკალში «ლამარასი», რასაკვირველია, სხვა რიგისა, ვიდრე შესლევა, ყალბად გონებულთ, «ლამარასი» ვაჟას შემოქმედების რკალში.)

საკვირველი არაა, თქმულის შემდგომ, თუ «ლამარა» სიუჟეტურ სულ სხვა მიმართებით ვითარდება ვიდრე «გველის მუამელი». სხვადასხვაგანა ესე ბოლოს უდსკრულადაც იქცევა: «გველის მუამელში» მინდია თავს იკლავს—«ლამარაში» კი თავს სწირავს. თავისკლევა ბოლოს-და-ბოლოს ტრაგედიაც არაა, ესაა უბედურება. თავშეწირვა კი მისტერისი ხტილია. ხოლო ამაზე ქვემოთ. ჯერ კი ერთი ვასამტერებელი ამბავი.

მრწამლა და მრწამს უღრმესად, რომ ისეთი არსი, როგორიცაა მინდია, თავს არ მოიკლავს, უკეთ: ვერ მოიკლავს. მეორე მხრით, მრწამსა და მრწამს უღრმესად, რომ ისეთი არსი, როგორიცაა ხალხი, არ ცდება არც ერთ მუხლში თავისი ქმედით ცხადებისა. როცა «ლამარას» ექმნილი, ორ ცეცხლ შუა ვიყავი: «მინდია ვერ მოიკლავს თავს», ეამობდი—«მინდია თავს იკლავს», მეუბნებოდა ხალხი. გავებდე ბოლოს და—პირველად ჩემს სიცოცხლეში—შევასწორე ხალხის ნახარევი. დიდ ხანს მაწვა ეს გულს სიმძიმედ, დიდ ხანს, დიდ ხანს.

რაოდენიმე თვის წინ წავიკითხე (პირველად) ვაჟას კრიტიკული წერი-

92107

ლები. მათ შორის «კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი». ამ წერილში ვაჟა გვით-
 ხრობს, სხვათა შორის: თუ რაა ხალხური თქმულებითგან «გველის მუამელ-
 ში» და რა მისი საკუთარი. რა აღმოჩნდა? თურმე მიიღია თავს იკლავს არა
 ხალხური თქმულებით, არამედ ვაჟას პიროვნული მიიხზვით. მომეწევა წამ-
 სვე სიმძიმე, დავინახე რა, რომ ხალხის «გნება» არ შემოიღახავს.

თავშეწირვით მიიღიასი «ლამარა» მისტერიაში გადადის. ალ. ამბეტე-
 ლის-უბის წიგნში შემდეგი ფორმულა უნახავთ «ლამარასი»: «რანდული
 რომანტიზმი». კარგად შეუმჩნევია დალუპულს: «ლამარაში» ეს მართლაც
 მთავარი ხაზია. გამოჩენია მხოლოდ, რომ გასწვრივ ამ ხაზისა «მინდია»-
 ური დენა მიდის, მისტერიული. (თუ როგორ გაუგებარი რჩება «ლამარა»
 ახლანდელი თაობისათვის, ამის მაგალითს სხენებული ერთ გუგუშვილი
 იძლევა. იგი წერს იქვე: «... რაც (ნაციონალური შეზღუდულობა. გ. რ.) ასე
 ნათლად იგრძნობოდა თუნდაც ისეთ სცენურ ქმნილებაში, როგორც «ლა-
 მარა» იყო». უნდა ვაუწყო ავტორს, რომ «ლამარა» (დაიდგა პირველად:
 29.1.1926) მაშინდელ თავაკებმა ხელისუფლებისა სწორედ იმისათვის «მი-
 იღეს», რომ მასში, საკუთრივ ბოლო აქტში, «ნაციონალური შეზღუდულო-
 ბის» გარღვევა დაინახეს. ავტორი ხელოვნებათა-მცოდნეობის კანდიდატი
 ყოფილა და მას მოეთხოვება იცოდეს შემდეგი ურყევი დებულება: რამდენ-
 ნად ღრმად ნაციონალურად ხელოვნური ქმნილება, იმდენად ზენაციო-
 ნალურია იგი. «ღრმა» აქ ჰგულისხმობს «ეტნოგრაფიულზე» მაღლა
 დგომას.)

მე არ შეგულებია სხვა დრამა მსოფლიო ლიტერატურაში, რომელიც
 «ლამარა»-სავით მისტერიაში გადადიოდეს. ბერძენებს ჰქონდათ ტრაგედიე-
 ბი და განწმე მისტერიები. ბედისწერით გამართულ ტრაგედიებში წინარე-
 ზნებოდა ის, რაც მისტერიებში ხდებოდა. «ლამარა» ასეთი არაა. კლოდე-
 ლის «ხარება» სასწაულზეა აგებული—ასევე «დამ ბეატრისა» მეტერლინკისა.
 «ლამარა» სხვაა. ევებ მისს მსგავსს—ვერ მომიიხახეს. ვიმეორებ: «ლამარა»
 ერთადერთი დრამაა მსოფლიო ლიტერატურაში, რომელიც თითქო უმჩნე-
 ვად გადადის მისტერიაში. ამით აიხსნება ის ფანტასტიკური გამარჯვება მი-
 სი, რომლის დაგვარი არ რეუენბია არც ერთს პიესას: არც საქართველოში,
 არც რუსეთში და არც სხვაგან. ვგულისხმობ სულ სხვა ჯურის გამარჯვებას
 ვიდრე «ანშლაგურს»—უკანასკნელი იშვიათი არაა. მყურებელნი დრამის
 დასრულებისას რაღაც მაღლით, ასნიგოსნებულით, არიან აყვანილნი—აი
 სრულიად თავისებური მარჯი «ლამარასი!» ეს მარჯი კიდევ უფრო დიდი
 იქნებოდა, რომ რუსთაველის სახელობის თეატრს მისი დადგმისას სამი რამ
 მიეღო მხედველობაში:

1. არ შეიძლება «ლამარას» გაფატრვა და მისგან მეოთხე აქტის ამო-
 გდება. სულიერი დრამა: ლამარასი, მიიღიასი, თორღვასისა—სწორეთ ამ აქტ-
 ში ვითარდება. მისი ამოგდებით დრამა ჰკარგავს «დღდაგულს». 2. ყოველს
 ნაწარმოებს ჩემსა ახასიათებს მუსიკალური აღნაგობა შინაგანი. უცხოელთა
 შორის ეს აღნიშნა რომენ როლანმა—ქართველთაგან მიხეილ წერეთელმა.
 «ლამარა» პირველი სტრიქონითგან უკანასკნელამდე სხენებულ პრინციპი-
 თაა გამართული. ვუკოლ ბერიძემ მას «სიმფონია» უწოდა. «ლამარას» დად-
 გმაში «სიმფონიური მომენტი» არ იყო დამკმაყოფილებლად გაყვანილი.
 მომქმედნი პირნი ხშირად ისე იჩქაროდენ, გეგონებოდათ: თითქოს მომხდუ-
 რები უკან მოსდევთ. არ იყო მართებულად დამკლური რაც სცენავს სასწა-
 ულმომქმედია: პაუზა. 3. «მინდია»-ური დენა: მისტერიული.

შოვა დრო და «ლამარას» დადგამენ ისე, როგორც ეს მას შეეფერება. მაშინ მას გამოუთქმელი გამარჯვება ერგუნება. თითქო ახლა ვხედავდეთ— ისეთი სიციხადით ვგრძნობ ამას. მართალია, შე ალარ ვიქნები—«ლამარა» ხომ იქნება!

— — —

არ გაგიკვირდეთ, რომ ასე გამიგრძელდა სიტყვა «ლამარაზე». თუმცა «გველის მუამელი» სხვაა და «ლამარა» კიდევ სხვა—მაგრამ თაური ორივესი ერთია. ესაა—მწვერვალი ქართველი ხალხის ზეპირრეწული შემოქმედებისა: მინდია: არსი, რომელში მთლიან სახიერდება ორმაგი უნივერსალური იდეა: «სიყვარული შეიქმს შეშეცნებას» (მოციქული პავლე)—«შეშეცნება შეიქმს სიყვარულს» (ლიონარდო და ვინჩი). სწორედ ამ მითიურმა არსმა მოითხოვა «ლამარასი» და «გველის მუამელის» ერთიმეორისადმი ამომწურავი შეპირისპირება.

— — —

ვიგონებ ვაჟას და მაგონდება ნიკო ფიროსმანი. რა კარგი მომხდარა, რომ პოეტი და ფერმწერი შეხვედრიან ერთხელ ერთიმეორეს, გაზაფხულზე 1914 წელს. ამაზე გვეთხოვს ვრცლად ვინმე ვასილ ჩაჩანიძე («ლიტ. გაზ.»., 22.9.61). ამაღელვებელია, დიად, შემრბეველი მათი გაბასება. რომ ცოდნოდა ვაჟას, რომ იგი პოეზიაში ასე ახლო იყო მასთან, რასაც ნიკო ხატავდა! რომ ცოდნოდა ნიკოსაც, რომ იგი ფერწერაში ასე ახლო იყო მასთან, რასაც ვაჟა შაირებით ქმნიდა! საქართველოს სამარადისოში ვაჟას გვერდით ნიკო ფიროსმანი მეგულვება: «საწყალი ნიკალა», რომელსაც შეეძლო ეთქვა ვაჟასავით, მხოლოდ მას:

«გულზე მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა».

გრიგოლ რობაქიძე

(მწიგნობისთვე 1961

ჟენევა)